გვანცა ბოშიშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ნიდერლანდები

,,ყოველთვის მინდოდა საზღვარგარეთ სწავლა. უნივერსიტეტის არჩევისას ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი სწორედ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა იყო. კავკასიის უნივერსიტეტმა ეს შანსი მომცა და ERASMUS+ გაცვლითი პროგრამა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცდილებად იქცა. ახალი კულტურის აღმოჩენა, განსხვავებული ეროვნების ადამიანებთან ურთიერთობა და საერთაშორისო აკადემიური გამოცდილების მიღება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო.

2024 წლის შემოდგომის სემესტრში ვსწავლობდი ინჰოლანდის უნივერსიტეტში, ნიდერლანდებში. მომეცა შესაძლებლობა მესწავლა მრავალფეროვან და ინოვაციურ გარემოში, მემუშავა საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად და განვვითარებულიყავი როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად. ეს გამოცდილება ახალი გამოწვევებით იყო სავსე – განსხვავებულ საგანმანათლებლო სისტემასთან შეგუება, ენობრივი ბარიერების გადალახვა და კომფორტის ზონიდან გამოსვლა – მაგრამ თითოეულმა გამოწვევამ ხელი შემიწყო პიროვნულ განვითარებაში.

გაცვლითი პროგრამა არ ყოფილა მხოლოდ აკადემიური გამოცდილება. ეს იყო დაუვიწყარი თავგადასავალი, რომელმაც ახალი უნარები და ცოდნა შემძინა. ამასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნიდან მეგობრების შეძენამ და ახალი კულტურების გაცნობამ ჩემი თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა.

ახლა, როდესაც განვლილ სემესტრს ვიხსენებ, ვხვდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე. ეს იყო გზა, რომელმაც დამანახა, რომ ყველაზე მეტად მაშინ ვვითარდებით, როცა საკუთარ თავს ახალ გამოწვევებს ვუსახავთ. ამიტომ, ნებისმიერ სტუდენტს, ვინც გაცვლით პროგრამაზე ფიქრობს, შემიძლია დარწმუნებით ვუთხრა: ეს ნამდვილად ღირს!''